

ჰოსპიტალური სექტორის განვითარების პროექტი №6

ჰოსპიტალური სექტორის განვითარების გენერალური გეგმის

შესაბამისად საქართველოს მთავრობა იწყებს კონკურენტულ შერჩევას ჯანდაცვის სექტორში ინვესტიციების მოსაზიდად

ჰოსპიტალური სექტორის განვითარების პროექტი №6

შესაქმნელი ობიექტები:

- ერთი 300 საწოლიანი მაღალტექნოლოგიური მრავალპროფილური ჰოსპიტალი ქ. თბილისში დიდის კლასტერში, რკინიგზის საავადმყოფოს ტერიტორიაზე;
- ერთი 100 საწოლიანი მრავალპროფილური ჰოსპიტალი ქ. რუსთავში;
- ერთი 25 საწოლიანი ზოგადი პროფილის ჰოსპიტალი ქ. ამბროლაურში;
- ერთი 15 საწოლიანი ზოგადი პროფილის ჰოსპიტალი ქ. თეთრიწყაროში;
- ერთი 15 საწოლიანი ზოგადი პროფილის ჰოსპიტალი ქ. ცაგერში;
- ერთი 15 საწოლიანი ზოგადი პროფილის ჰოსპიტალი ქ. თიანეთში;

გადასაცემი ობიექტები:

სს "დიპლომისშემდგომი განათლების სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციათა პაკეტი (მე-9 საავადმყოფოს შენობას მინიჭებული აქვს ძეგლის სტატუსი, შესაბამისად უნდა მოხდეს მისი რესტავრაცია), ყოფილი ყელ-ყურ-ცხვირის სამედიცინო კვლევითი ინსტიტუტის შენობა; შპს "აუდიოლოგიისა და სმენის რეაბილიტაციის სამეცნიერო ცენტრის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100 % წილი.

პირობები:

- ყოფილი ყელ-ყურ-ცხვირის სამედიცინო კვლევითი ინსტიტუტი არსებული სამსახურების შენარჩუნება 2 წლის განმავლობაში;
- იაშვილის კლინიკის ტერიტორიაზე სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება სახელმწიფოს მიერ მითითებული სტანდარტებით;
- სხივური თერაპიის აპარატურის შეძენა (2006 წელს ან უფრო გვიან გამოშვებული სხივური ამაჩქარებლის შეძენა, დამონტაჟება და ექსპლუატაცია);
- რკინიგზის საავადმყოფოს შენობების დანგრევა-დემონტაჟი და მის ტერიტორიაზე ახალი ჰოსპიტალის მშენებლობა;
- იაშვილის კლინიკის ტერიტორიაზე 43 დევნილი ოჯახის დამაკმაყოფილება და გაყვანა;
- რკინიგზის საავადმყოფოს შენობის გამოთავისუფლება დევნილებისაგან (35 ოჯახი), სათანადო კომპენსაციის გაცემის პირობით;

კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია:

- საწოლების მაქსიმალური რაოდენობის შემოთავაზება სახელმწიფოს მიერ მითითებული სიიდან;
- საწოლების თანაბარი რაოდენობის წარმოდგენის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება მშენებლობის დასრულების ვადებს.

შერჩევაში მონაწილეობისათვის უნდა იყოს წარმოდგენილი მინიმუმ 7 050 000 აშშ დოლარის საბანკო გარანტია, აღებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად

საბუთების წარმოდგენა - საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში, ოთახი №702, 11 მაისი 17 სთ.-მდე.

წინადადებები შერჩევისათვის წარმოსადგენი იქნება დახურულ კონვერტებში.

კონვერტების გახსნა მოხდება საჯაროდ, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში, ოთახი №801; 11 მაისს, 17 სთ. და 30 წუთზე. შემოთავაზების გაუმჯობესება არ მიიღება.

სტანდარტული ხელშეკრულების, საბანკო გარანტიის ფორმის, ჰოსპიტალების მიმართ ტექნიკური მოთხოვნების და სხვა დეტალური ინფორმაციის მიღება შეიძლება ეკონომიკური განვითარების სამინისტროში, ოთახი №702 საკონტაქტო პირი - ილია გოცირიძე, ტელ.: 877 22 24 01.